



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 ოქტომბერი 2025



N 627/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტისა და II დანართის 3.4 და 3.9 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N61;
2. შპს „გოგნის ქარის კომპანია“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N61 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გოგნის ქარის კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/627-21-4-202510131656>





სკოპინგის დასკვნა N61

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „გოგნის ქარის კომპანია“ (ს.კ: 404643418);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 01.09.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „დგ კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ (შემდგომ - კომპანია) მიერ წარმოდგენილ იქნა თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის, 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, სოფელი გოგნის, მუხურას, თხილწყაროს, ახალთერჯოლის, ჩხარის და ქ. თერჯოლის ტერიტორიებზე, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ქარის ელექტროსადგურიდან დაშორებულია 591 მეტრით (სოფ. გოგნი), ხოლო საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნიდან - 53 მეტრით (სოფ. ახალთერჯოლა). რაც შეეხება ზედაპირული წლის ობიექტებს, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადაკვეთს მდინარე ჩხარს და მდინარე ჩოლაბურს. ქარის ელექტროსადგურის განთავსების ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-333663, Y-4680672; X-338350, Y-4688145; X-337761, Y-4688408; X-339699, Y-4681888, ხოლო 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X-331360, Y-4668129; X-335700, Y-4680679. წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სხვადასხვა ძაბვის

ელექტროგადამცემ ხაზებს, გაზსადენს, საკომუნიკაციო კაბელებს, წყლის მილებს, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ (ს1/E60) საავტომობილო გზას.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ქარის ტურბინების, მისასვლელი გზის, ქვესადგურის განთავსების და ელექტროგადამცემი ხაზის ალტერნატივები, ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. სკოპინგის ანგარიშში განხილულია „V162“, „E-175 EP5“, „GW 182-7.5“ და სხვა ტიპის ტურბინა-გენერატორის ალტერნატიული ვარიანტები, რომელთა სიმაღლე მერყეობს 119 მ-დან 140 მეტრამდე, როტორების დიამეტრი - 162 მ-დან 200 მეტრამდე, ხოლო სიმძლავრე - 7 მგვტ-დან 8 მგვტ-მდე. ანგარიშის თანახმად, შერჩეული ტურბინების ტიპის დაზუსტება მოხდება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ეტაპზე, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ სკოპინგის ეტაპზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა წარმოდგენილი ვარიანტებიდან ყველაზე დიდი გაბარიტებისა და სიმძლავრის ტურბინისთვის. ქარის ელექტროსადგურის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, სოფ. გოგნისა და სოფ. მუხურას შორის დაგეგმილია 28 ერთეული ტურბინა-გენერატორის მოწყობა. როგორც უკვე აღინიშნა, ზემოქმედების შეფასების თვალსაზრისით განხილული იქნა 140 მ სიმაღლისა და 200 მ როტორის დიამეტრის მქონე ტურბინები (ფრთის სიგრძე 98 მეტრი), რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე არ აღემატება 8 მგვტ-ს. ტურბინების როტორები იქნება სამფრთიანი. ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 224 მგვტ-ს შეადგენს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის ტურბინების განთავსების წერტილების GPS კოორდინატებია: **WTG W01**-X-333663, Y-4680672; **WTG W02**- X-334707, Y-4681079; **WTG W03** - X-335273, Y-4681528; **WTG W04** - X-335490, Y-4681961; **WTG W05**- X-335646, Y-4682426; **WTG W06** -X-335902, Y-4682885; **WTG W07** - X-336419, Y-4683345; **WTG W08** -X-336882, Y-4683828; **WTG W09** - X-337624, Y-4684183; **WTG W10**-X-337493, Y-4684551; **WTG W11** -X-337274, Y-4684896; **WTG W12** - X-337276, Y-4685280; **WTG W13** -X-337342, Y-4685659; **WTG W14** -X-337370, Y-4686074; **WTG W15**-X-337101, Y-4686421; **WTG W16** -X-338419, Y-4687305; **WTG W17** -X-338615, Y-4687673; **WTG W18** -X-337645, Y-4687747; **WTG W19** -X-338351, Y-4688145; **WTG W20** -X-337761, Y-4688408; **WTG E01**-X-339699, Y-4681888; **WTG E02** -X-339704, Y-4682488; **WTG E03** -X-339582, Y-4682861; **WTG E04** -X-339214, Y-4683187; **WTG E05** -X-339179, Y-4683580; **WTG E06** -X-339149, Y-4683967; **WTG E07** -X-338946, Y-4684327; **WTG E08** -X-338541, Y-4684635.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიწისქვეშა საკაბელო ხაზის საშუალებით გადაეცემა საპროექტო 220 კვ

ძაბვის ქვესადგურს. ქარის ტურბინებისა და ქვესადგურის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი განთავსდება მიწისქვეშ, მისასვლელი გზების გასწვრივ, 1 მ სიღრმის ტრანშეაში. ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით გადაეცემა საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურს. ტრანსფორმატორების საშუალებით მოხდება მიღებული ელექტროენერგიის ძაბვის 220 კვ-მდე გაზრდა, ხოლო შემდგომ, საპროექტო 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით დაუკავშირდება ზესტაფონის არსებულ 500 კვ-იან ქვესადგურს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა დაგეგმილია დაახლოებით 1.5 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, რისთვისაც შეირჩა ოთხი ალტერნატიული ვარიანტი. ქვესადგურის განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: **ალტერნატივა 1:** X-335186, Y-4681262; **ალტერნატივა 2:** X-335928, Y-4683096; **ალტერნატივა 3:** X-336204, Y-4683178; **ალტერნატივა 4:** X-338047, Y-4684524. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიებზე ქვესადგურის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება თითქმის იდენტურია. ანგარიშის თანახმად, ქვესადგურის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქ/ს „ზესტაფონი 500“-ში ჩასართავად საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურიდან საჭირო იქნება 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომ - ეგხ) გაყვანა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დაახლოებით 80 ერთეული საყრდენი ანძის მოწყობა. საპროექტო ეგხ-ის დერეფანი კვეთს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. 220 კვ ძაბვის ეგხ-ის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 22 კმ-ს (17.65 კმ გოგნის ქარის ელექტროსადგურამდე, ხოლო დანარჩენი - ქარის ელექტროსადგურის ტერიტორიაზე), ანძის სიმაღლე იქნება 30-50 მ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საყრდენი ანძების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 3 წლით. მშენებლობისას დასაქმებული იქნება 250 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - 15. სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია 2 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატები: X-335382, Y-4681791; X-335524, Y-4681934; X-335623, Y-4681887; X-335471, Y-4681746), საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. გოგნი) დაშორებულია დაახლოებით 820 მეტრით. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია მცირე სამშენებლო ბანაკის მოწყობა, სადაც მოხდება მშენებლობისთვის საჭირო დამხმარე მასალების (მაგ: ინსტრუმენტები, საღებავები და სხვ.) შენახვა. ასევე, ადგილზე დამონტაჟდება დიზელის გენერატორი. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არ არის გათვალისწინებული საცხოვრებელი ობიექტების, ადმინისტრაციული და სამშენებლო პერსონალის ოფისების, პარკირების სივრცის და მსგავსი ტიპის სხვა ობიექტების მოწყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ჩამდინარე წყლების შეგროვება გათვალისწინებულია სექტიკურ ავზში, რომლის განტვირთვა მოხდება შესაბამისი სამსახურების მიერ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროცესში ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო და გრუნტის გზები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, არსებულ გზებზე შესაძლოა საჭირო გახდეს მცირე უბნების მომზადება, კერძოდ, ხე-მცენარეების გადაბეღვა და გზაზე არსებული ინფრასტრუქტურის გარკვეული უბნების გადატანა/პარამეტრების შეცვლა. ქარის ელექტროსადგურის საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი შიდა მისასვლელი გზების მოწყობა უზრუნველყოფს თერჯოლა-გოგნის არსებული გზიდან თითოეულ ტურბინამდე დაკავშირებას.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებას მოახდენს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზების, ქარის ელექტროსადგურის და მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოები. მშენებლობის დაწყებამდე მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომელიც დროებით დასაწყობდება ტურბინების მახლობლად არსებულ საპროექტო ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომ გამოყენებული იქნება რეკულტივაციისთვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე (სისქე) მერყეობს 15 სმ-დან 30 სმ-მდე. ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოქმნილი გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრილებში და გზების ვაკისების მოსაწყობად.

პროექტის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებზე, საავტომობილო გზებით მოსარგებლეებზე და სხვ. მოსალოდნელია ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება. ასევე აღსანიშნავია მოციმციმე ჩრდილებით გამოწვეული ზემოქმედება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალში გამოვლენილია ძირითადად სამი ტიპის ჰაბიტატი: ტყის ტიპის ჰაბიტატები, მეორეული ტიპის მდელოს ჰაბიტატები და სასოფლო-სამეურნეო მიწები (220 კვ მაზვის ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში). მეორეული ტიპის მდელოები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ძირითადად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისთვის. გარდა ამისა, საპროექტო არეალის მიმდებარედ განთავსებულია მწყემსთა საზაფხულო თავშესაფრები.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო არეალში 2024-2025 წლებში ჩატარებული კვლევებით დაფიქსირდა „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები: ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), ბუა (*Buxus colchica*), უთხოვარი - (*Taxus baccata*), ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), ასევე, „ბერნის კონვენციით“ დაცული სახეობები: კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), იელი (*Rhododendron luteum*). ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის ეტაპზე, სამუშაოების წარმოებისას საჭირო იქნება გარემოდან მცენარეების ამოღება, რომელთა ნაწილი მოქცეულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეულ საფარზე დეტალური კვლევის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი საპროექტო ტერიტორიიდან (1776909 კვ.მ ფართობი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 453574 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ზურმუხტის ქსელისა და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ტერიტორია ასევე არ ექვევს ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის - IBA საიტის ფარგლებშიც.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, არსებული ლიტერატურული მონაცემებისა და არსებული ჰაბიტატების გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ შესაძლებელია დაფიქსირდეს ხელფრთიანების 29 სახეობა, მათ შორის, „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), მეჰელის ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*), გრძელყურა მდამიობი (*Myotis bechsteini*), ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2024-2025 წლებში ჩატარებული კვლევების ფარგლებში დაფიქსირდა 9 სახეობის ხელფრთიანი, მათ შორის, „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*). კვლევის შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე ასევე დაფიქსირდა 63 სახეობის ფრინველი, მათ შორის, „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ისეთი სახეობები, როგორიცაა ორბი (*Gyps fulvus*) და ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სავსე კვლევების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ გავრცელებული ძუძუმწოვრებიდან დაფიქსირდა „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*) და მურა დათვი (*Ursus arctos*), ხოლო ქვეწარმავლებიდან - კავკასიური გველეხლა (*Vipera kaznakovi*).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სოფ. გოგნის ტერიტორიაზე მდებარეობს არაერთი არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის, „ელდათის წმ. გიორგის ეკლესია“, ნაეკლესიარი „ბერციხე“ სკანდეს ციხე და სხვა. საპროექტო ქარის ელექტროსადგურის (უახლოესი ტურბინა)

განთავსებისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები 3-5 კმ მანძილით არის დაშორებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის უშუალო ზეგავლენის არეალში არ ფიქსირდება მსგავსი ტიპის მიმდინარე ან/და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც კუმულაციური ზემოქმედების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა საპროექტო 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი დაახლოებით 2 კმ-ზე მოუყვება სს „საქრუსენერგოს“ საკუთრებაში არსებულ 500 კვ ძაბვის „იმერეთის“ ელექტროგადამცემ ხაზს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელების ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მაღალი არ იქნება.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, გაეგზავნა თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების მერიებს, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 24, 25 და 26 სექტემბერს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურის საჯარო სკოლის შენობაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალთერჯოლის, სოფ. გოგნის და სოფ. ჩხარის ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში და ასევე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „გოგნის ქარის კომპანია“, საკონსულტაციო კომპანია შპს „დგ კონსალტინგი“ და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და ასევე, დაინტერესებული საზოგადოება. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვებზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა:

ქარის ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის ჩართვას, მათ შორის, ქვესადგურ „ზესტაფონი 500“-ში დაერთებას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე (მათ შორის, ვენახზე) ზემოქმედების და მათზე საქმიანობის განხორციელების შეზღუდვას, ელექტრომაგნიტური გამოსხივებას, ელექტროგადამცემი ხაზების ტიპს და სიმძლავრეს, ქარის ტურბინების რაოდენობას, პარამეტრებს (სიმაღლე) და სიმძლავრეს, ტურბინებს შორის დაშორების მანძილს, სატყეო ტერიტორიაზე (მათ შორის, ავარიული სიტუაციების შემთხვევაში) მოსალოდნელ ზემოქმედებას, საპროექტო ტერიტორიამდე ქარის ელექტროსადგურის ტურბინების ტრანსპორტირებას და მისასვლელ გზების მოწყობას, მშენებლობის დაწყებისა და დასრულების ვადებს, ეგხ-ის მოსახლეობიდან დაშორებას, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, საძოვრებზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედებას, ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციის ვადას, სოციალურ-ეკონომიკურ (მათ შორის, დასაქმება, ელექტროენერგიის გადასახადის (ტარიფის) შემცირება) საკითხებს, ასევე, კერძო ნაკვეთებზე ზემოქმედებისა და მიწის მესაკუთრეებთან შეთანხმების საკითხებს. საჯარო განხილვებზე დასმულ საკითხებზე

შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ და შპს „დგ კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;

- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების (მათ შორის, ქარის ელექტროსადგურის, ეგხ-ის, ქვესადგურის და სამშენებლო ბანაკების) შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი (განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების) თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება. მათ შორის, ქარის ტურბინა-გენერატორების კონკრეტული ლოკაციების, დამხმარე ინფრასტრუქტურის, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის, ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ადგილების დეტალური აღწერა, საკადასტრო კოდების, ფართობების, GPS კოორდინატების მითითებით, პროექტის ერთიან Shp ფაილებთან (მათ შორის, პოლიგონური) ერთად;
- დაგეგმილი საქმიანობის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ქარის ელექტროსადგურის შემადგენელი ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი, მათ შორის, საპროექტო ქვესადგური და ელექტროგადამცემი ხაზები, მისასვლელი გზები და სხვ.;
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან (ქარის ელექტროსადგური, ეგხ-ები და ქვესადგური) დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე, დასახლებულ პუნქტ(ებ)ამდე და ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და (თვეების, წლების განმავლობაში) გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ ინფორმაციის მითითებით. ინფორმაცია საოპერაციო დროის/წლის განმავლობაში სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- საპროექტო ქარის ელექტროსადგურის, სატრანსფორმატორო ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზების ტექნიკური პარამეტრების ცხრილი, პროექტის განმარტებითი ბარათი. ინფორმაცია ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ (ობიექტების ტექნიკური მახასიათებლების მითითებით);
- ინფორმაცია ტურბინების რაოდენობის, ტიპის, თითოეული ტურბინის ადგილმდებარეობის, დადგმული სიმძლავრის, ტურბინების სიმაღლისა და ფრთების დიამეტრის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ტურბინებისთვის, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურისთვის გათვალისწინებული დაცვის ზონებისა (ბუფერის) შესახებ (სქემატურ რუკაზე დატანით და შესაბამისი Shp ფაილებით), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;

- ინფორმაცია ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ეგზ-ის (მათ შორის, ტრანშეის პარამეტრები) და ეგზ-ის განთავსების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (სიგრძე, საყრდენი ანძების რაოდენობა, სადენების ტიპები, საძირკვლების პარამეტრები და სხვ.) და ეგზ-ის განთავსების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია ეგზ-ების და ქვესადგურის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაცია ძაბვის და განთავსების ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ;
- ელექტროგადამცემი ხაზების ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი და ინფორმაცია ეგზ-ების განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ (საყრდენი ანძების კონსტრუქციებისა და სადენების ტიპები, საყრდენების დამონტაჟების პირობები და საძირკვლების პარამეტრები);
- საპროექტო ეგზ-ების დერეფნების shp ფაილები (მათ შორის, პოლიგონური), საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდების მითითებით);
- ეგზ-ების დერეფნების დეტალური აღწერა, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი ეგზ-ის დერეფნიდან და ეგზ-ის დაცვის ზონიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);
- ეგზ-ების სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში - შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტროგადამცემი ხაზ(ებ)ის გაყვანის სამუშაოების დეტალური აღწერა;
- ინფორმაცია ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის, მისი შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ელექტროსადგურის და შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების (მათ შორის, სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით) შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი;

- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ზემოქმედების არეალში არსებული საპროექტო მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5.1. გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც.

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში);
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეები გამოვლენილი არაა, თუმცა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციით, რამდენიმე საპროექტო ანბა ხვდება მეწყრულ არეალში, შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ქარის ელექტროსადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების სივრცეში განვითარებულ სტიქიურ გეოლოგიურ პროცესებსა და იმ პრევენციულ ღონისძიებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ექსპლუატაცია.

5.2 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ (სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკთან ერთად);

- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ისთვის შერჩეული ტერიტორიების დეტალური აღწერა-დახასიათება, GPS კოორდინატების და shp ფაილების მითითებით;
- მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- დასაბუთებული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკისა და სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. **სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;**
- სამშენებლო ბანაკის/მოედნის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- სამშენებლო ბანაკის/მოედნის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხები;
- სამშენებლო ბანაკზე წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- სამშენებლო ბანაკზე/მოედანზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;
- ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებულის გაფართოება/რეაბილიტაციის შესახებ. ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებული გზების გაფართოება/რეაბილიტაციის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით (მათ შორის, პოლიგონური)). ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

5.3 ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის, ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებებზე;

- ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, რომელშიც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე და ხელფრთიანებზე) და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი პრევენციული, მათ შორის, საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. მონიტორინგის გეგმაში ასევე განხილული უნდა იქნას დაღუპული ფრინველების აღრიცხვის მექანიზმი, შერჩეული ტურბინის როტორის დიამეტრის მანძილზე;
- იმ შემთხვევაში, თუ ორნითოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგინდება, რომ საპროექტო არეალი წარმოადგენს ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიას, გვხვდება „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები და მათი ინდივიდების შეხვედრის სიხშირე საშუალო ან მაღალია, გზშ-ის ანგარიშში ფრინველებზე უარყოფითი ზემოქმედების ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად წარმოდგენილი უნდა იქნას ქარის ელექტროსადგურის ფრთების ნაწილობრივი, ან ერთი ფრთის სრულად შეღებვა, რაც კვლევების მიხედვით, ფრინველების შეჯახებების რაოდენობას ამცირებს;
- ზუსტი მონაცემები ქარის ელექტროსადგურისა და მისი მშენებლობისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების შესახებ, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით (ე.წ ტყეკაფის უწყისი);
- მოსაჭრელი ხეებზე ხელფრთიანების ბუდის ან პოტენციური საბუდარი ადგილის დაფიქსირების შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იქნეს ე.წ. „ბეთბოქსების“ განთავსება ზოოლოგის მიერ შერჩეულ ტერიტორიაზე.

6. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის, სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას წარმოქმნილი ემისიები, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ

ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, შეფასებული უნდა იყოს ჩრდილის ციმციმთან დაკავშირებული ზემოქმედება და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;
- ზამთრის პერიოდში ქარის ტურბინებზე ყინულის წარმოქმნით/ყინულის ცვენიტ გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით) შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული (მ.შ. არსებობის შემთხვევაში, ქარის

ტურბინების, ეგზ-ის დაცვის ზონაში/ბუფერში მოქცეული) მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ), ასევე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე (მ.შ. საძოვრებზე ზემოქმედება). ამასთან, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, მოსალოდნელი სავარაუდო ზიანი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გავლენის ზონაში არსებული და დაგეგმილი საქმიანობების გათვალისწინებით (ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით, ორნითოფაუნაზე, მათ შორის, გადამფრენ ფრინველებზე ზემოქმედების ჭრილში);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირისა და მეთოდის მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების შეფასების და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი 1776909 კვ.მ. (177.6 ჰა) ფართობიდან (მისასვლელი გზა, მიწისქვეშა კაბელის ტერიტორიაზე, სამშენებლო მოედანი, ქვესადგურის ალტერნატივები, საპროექტო საყრდენის

პოლიგონები, საპროექტო ხაზის ალტერნატიული დაცვის ზონა, საპროექტო ხაზის დაცვის ზონა) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **453574 კვ.მ. (45 ჰა) ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს.** კერძოდ, ტყიბულის სატყეო უბნის მუხურას (კვარტალი N14, 15, 16, 18, 19, 20, 22, 23, 26 და ყოფილი საკოლმეურნეო ტყე) და თერჯოლის (ყოფილი საკოლმეურნეო ტყე) სატყეოებს. ასევე, ზემოაღნიშნული **453574 კვ.მ** ფართობი ზედდება 4741 კვ.მ. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა, ან მისი განკარგვა სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას საჭიროებს. შესაბამისად, **განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, გზშ-ის ანგარიშთან ერთად უნდა წარმოადგინოს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მოსაზრება;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და shp ფაილების მიხედვით, საპროექტო 220 კვ ძაბვის ეგზ-ის საყრდენი N58 ანძა მდებარეობს მდ. ჩოლაბურის მარჯვენა ნაპირზე, ჭალა-კალაპოტთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას მდ. ჩოლაბურის ჰიდროლოგიური პარამეტრები. ასევე, კლიმატური პირობების აღწერისას მითითებული უნდა იქნას გამოყენებული ინფორმაციის წყაროები. ცალკეული კლიმატური პარამეტრების, მათ შორის, ქარის რეჟიმის შედარებით სრულყოფილი დახასიათება და სამშენებლო-კლიმატური პარამეტრების გათვალისწინება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიის N1834 (შპს „ჩოლაბური“, ვადა - 20.06.2030 წ.) კონტურს. ასევე კვეთს N815 (მიწისქვეშა მტკნარი წყალი, ი/მ ი.ა) ლიცენზიის სანიტარიული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონას. საპროექტო ტერიტორია ასევე კვეთს ყვირილის დეპრესიის მანგანუმის საბადოს კონტურს. აღნიშნულ ტერიტორიაზე პროდუქტიული ფენა განლაგებულია სიღრმეზე და საბადოს დამუშავების შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამოწამლუშევრების მეშვეობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს მუხურის და ალისუბნის კირქვის საბადოების, ალისუბნის კირქვის გამოვლინების და ჩოლაბურის ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურებს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ მინერალური

რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. ამასთან, ამავე კანონის მე-14 მუხლით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნის საფუძველზე, ხოლო დასკვნის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სს „საქრუსენერგოს“ ცნობით, საპროექტო 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადაიკვეთება 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზის „იმერეთის“ (ს/კ: 32.00.10 N364-N365 ანძებს შორის მალს, ხოლო გარკვეულ მანძილზე გადის არსებული ხაზის პარალელურად. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის საპროექტო 220 კვ ეგხ-ის არსებულ 500 კვ ეგხ „იმერეთთან“ გადაკვეთის პროექტი, ასევე ეგხ-ების პარალელური მსვლელობისას მითითებული არ არის ანძების ტიპი. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „საქრუსენერგოსთან“ შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) ამსახველი დოკუმენტაცია;
- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ 110/35/10/0.4 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს (ს/კ: 32.00.606, 32.00.136, 33.00.424, 33.00.425, 33.00.419, 33.00.421) და შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად, სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებელმა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცებულია „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

- ვინაიდან საპროექტო ტერიტორია კვეთს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებს, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურის მიერ მიწისქვეშა/საჰაერო ობიექტების გადაკვეთების შესახებ (არსებობის შემთხვევაში), მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით;
- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ (ს1/E60) საავტომობილო გზას, შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 1.1. ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო არეალში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი და სარგებლობის საფუძველი ან/და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების (არასასოფლო-სამეურნეო) შესახებ;
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადაკვეთს მდინარე ჩხარსა და მდინარე ჩოლაბურს, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, დერეფანი ასევე კვეთს მდინარე ხაუჩას,~. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშის სხვადასხვა თავებში მოსაწყობის გზების სიგრძის შესახებ მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია. კერძოდ, 4.4.2 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „მოსაწყობი გზების ჯამური სიგრძე შეადგენს 25 კმ-ს“, ხოლო 3.3.1

ქვეთავსა და ცხრილში 3.3.1 მითითებულია, რომ „ტერიტორიაზე საჭირო იქნება მისასვლელი გზების მოწყობა სიგრძით 19.5 კმ სიგრძით“. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში ინფორმაცია მოსაწყობი გზების სიგრძის შესახებ დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;

- სკოპინგის ანგარიშში გრუნტის შესახებ მოცემულია ჩანაწერი - „დანარჩენი მასალა გამოიყენება მისასვლელი გზების მშენებლობისათვის ან განთავსდება სანაყაროებზე“, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სანაყაროს მოწყობის შესახებ, რაც დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია ძუძუმწოვრების შესახებ, კერძოდ, ტექსტობრივ ნაწილში აღნიშნულია, რომ ზაფხულის პერიოდში იდენტიფიცირდა შემდეგი სახეობები (გვ. 122) - ძუძუმწოვრები 24 სახეობა. თუმცა, ცხრილში 6.11.2 („ქარის ელექტროსადგურის ტერიტორიაზე არსებული ან შემომსვლელი ფაუნის სახეობები“) მითითებულია 25. აღნიშნული საკითხი დაზუსტებული უნდა იქნას გზშ-ის ანგარიშში;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ქარის ელექტროსადგურის ტერიტორია ძირითადად გამოიყენება საძოვრებად. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მოსახლეობის ალტერნატიული საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხი, ალტერნატიული ტერიტორიების მითითებით (საკადასტრო კოდი; GPS კოორდინატები);
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა ეგზ-ების მოწყობა, თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის ძაბვის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას. აღნიშნული ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველში;
- სკოპინგის ანგარიშში განხილულია „V162“, „E-175 EP5“, „GW 182-7.5“ და სხვა ტიპის ტურბინა-გენერატორის ალტერნატიული ვარიანტები, რომელთა სიმაღლე მერყეობს 119 მ-დან 140 მეტრამდე, თუმცა საჯარო განხილვაზე საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ანძის სიმაღლე იქნება 150 მეტრი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტურბინის სიმაღლე;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.